



პრეს რელიზი 18/484
გავრცელდეს დაუყოვნებლივ
19 დეკემბერი, 2018

საერთაშორისო სავალუტო ფონდი,
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,
20431, აშშ.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ
"გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით მხარდაჭერილი" საქართველოს
პროგრამის მესამე მიმოხილვა დაასრულა**

- ქვეყნის ხელისუფლების პროგრამა, რომელსაც სავალუტო ფონდი მხარს უჭერს გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით, ხორციელდება შეუფერხებლად, რაც თავისმხრივ გონივრული მაკრო-ფინანსური პოლიტიკის და ჯანსაღი რეფორმების განხორციელების შედეგია.
- საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები კვლავაც ძლიერია, მაგრამ ეკონომიკაზე მოქმედი, შესაძლო უარყოფითი გავლენის მქონე რისკები გაზრდილია.
- სტრუქტურული რეფორმების განხორციელების გაგრძელება აუცილებელია მაღალი და მეტად ინკლუზიური ზრდის მისაღწევად.

ამა წლის 19 დეკემბერს სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს მიმდინარე სამ წლიანი პროგრამის მესამე მიმოხილვა დაამტკიცა ფორმალური მიმოხილვის გარეშე¹. ამ მიმოხილვის დასრულებისას საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება 30 მილიონი ეს დე ერი (დაახლოებით 41.6 მილიონი აშშ დოლარი). შედეგად სსფ-დან ჩამორიცხვები ამ პროგრამის ფარგლებში 120 მილიონ ეს დე ერ-ს (166.3 მილიონი აშშ დოლარი) გაუტოლდება. გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით მხარდაჭერილი პროგრამა სულ 210.4 მილიონი ეს დე ერ-ის, ანუ საქართველოს ქვოტის 100 პროცენტის ჩამორიცხვას ითვალისწინებს. მიმდინარე პროგრამა სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 2017 წლის 12 აპრილს დაამტკიცა. პრეს რელიზი [No. 17/130](#)).

2018 წლის ბოლოსთვის პროგრამით გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ზოგი კრიტერიუმი შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. პროგრამის მხოლოდ ერთი კრიტერიუმი შესრულდა ორი კვირის დაგვიანებით.

¹ სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ფორმალური განხილვის გარეშე, როდესაც წარმოდგენილი დოკუმენტები ნათლად აღწერს ვითარებას და საკითხებზე დისკუსია საჭირო არაა.

საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები ძლიერია, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკის პერსპექტივაზე შესაძლო უარყოფითი გავლენის მქონე რისკები გაზრდილია. ინფლაცია სამ პროცენტთან სამიზნე მაჩვენებელს ქვემოთ ნარჩუნდება და ქვეყნის საგარეო პოზიცია ძლიერდება. მაღალი შემოსავლების და კაპიტალური ხარჯების გეგმიდან ჩამორჩენის შედეგად 2018 წლის სექტემბრის მდგომარეობით ბიუჯეტის სალდო დადებითია. კრედიტის მაღალი ზრდის ფონზე, ხელისუფლებამ აამოქმედა რეგულაცია მოსახლეობის ჭარბვალთანობის შეზღუდვის მიზნით. საბანკო სექტორის კაპიტალიზაცია მაღალია, სექტორი ლიკვიდური და მომგებიანია, თუმცა, დოლარიცაზია კვლავ მაღალია. პოზიტიური შედეგების მიუხედავად ხელისუფლება ყურადღებით უნდა იყოს საგარეო ვითარების მიმართ და განაგრძოს რეფორმების განხორციელება ინკლუზიური ზრდის წასახალისებლად.

2019 წლისთვის შეთანხმებული ბიუჯეტის დეფიციტი მართებულად უზრუნველყოფს ნეიტრალურ ფისკალურ პოზიციას, კაპიტალური და სოციალური ხარჯების მატების ფონზე.

საშუალოვადიანი ფისკალური გეგმები, მათ შორის დაგეგმილი განათლების რეფორმა, უნდა შეესაბამებოდეს ფისკალური მდგრადობის მიზანს და ახლდეს ინსტიტუციონალური ფისკალური რეფორმები.

ინფლაციის თარგეგირების რეჟიმი, მოქნილი გაცვლითი კურსის რეჟიმთან ერთად კვლავ კარგ სამსახურს უწევს საქართველოს. მონეტარული პოლიტიკა კვლავაც ვითარების შესაბამისია. საერთაშორისო რეზერვების დაგროვებაზე მიმართული ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს საგარეო გაურკვევლობის ზრდის ფონზე, საქართველოს საგარეო შოკების მიმართ მოწყვლადობის გათვალისწინებით.

ფინანსური მდგომარეობის გაძლიერებაზე მიმართული რეგულაციები მოსაწონია, თუმცა, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მათი გავლენა კრედიტის ზრდაზე.

სტრუქტურული რეფორმების განხორციელება მაღალი, მეტად ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზაა. პრიორიტეტებს შორისაა: ახალი კანონის მიღება კორპორაციათა გაკოტრების შესახებ და კარგად შედგენილი, ყოვლისმომცველი რეფორმა საგანმანათლებლო სფეროში.

საქართველო: ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური პარამეტრები 2015-2019

	2015	2016	2017	2018	2018	2019
	პროგრამის მე-2 მომხილვის ანგარიშის მიხედვით ^{1/}					
	ფაქტიური	წინასწარი		პროგნოზი		
ეროვნული ანგარიშები და ფასები	(წლიური ცვლილება, პროცენტი, თუ სხვა არაა მითითებული)					
რეალური მშპ	2.9	2.8	5.0	4.8	5.0	4.6
ნომინალური მშპ (მილიარდი ლარი)	31.8	34.0	38.0	41.4	41.6	45.0
ნომინალური მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	14.0	14.4	15.2	16.9	16.5	17.2
მშპ, ერთ სულ მოსახლეზე (ათასი აშშ დოლარი)	3.8	3.9	4.1	4.5	4.4	4.6
მშპ-ს დეფლატორი, პერიოდის საშუალო	5.9	4.2	6.5	3.8	4.2	3.4
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის საშუალო	4.0	2.1	6.0	2.8	2.8	3.1
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლო	4.9	1.8	6.7	2.7	2.3	3.0
ინვესტიციები და დანაზოგი	(მშპ-ს პროცენტი)					
მთლიანი ეროვნული დანაზოგი	18.9	19.6	23.1	25.5	25.5	25.4
ინვესტიციები	31.5	32.7	31.9	34.7	34.5	34.9
სახელმწიფო	5.6	5.0	6.1	6.8	6.6	7.1
კერძო	25.9	27.7	25.8	27.9	27.9	27.9
მთავრობის კონსოლიდირებული ბიუჯეტი	(მშპ-ს პროცენტი)					
შემოსავლები და გრანტები	28.1	28.3	29.0	27.9	27.9	28.0
მ.შ. საგადასახადო შემოსავლები	25.1	25.7	26.0	25.0	25.0	25.1
ხარჯები	32.0	32.5	32.7	31.1	30.8	30.9
მიმდინარე ხარჯები	25.0	26.0	24.2	23.1	23.0	23.1
კაპიტალური ხარჯები და ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხი	7.0	6.5	8.5	7.9	7.8	7.8
წმინდა დაკრედიტება/სესხება (GFSM 2001)	-1.2	-1.5	-0.5	-1.6	-1.2	-1.9
მოდულირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (სსფ-ს პროგრამით დეფიციტის განსაზღვრება) ^{2/}	-2.6	-2.9	-2.9	-2.8	-2.3	-2.6
სახელმწიფო ვალი	41.4	44.4	44.9	42.8	43.4	43.5
მ.შ საქართველოს ეროვნული ბანკის ვალი სსფ-ს მიმართ	0.6	0.5	0.5	1.0
მ.შ უცხოურ ვალუტაში	32.5	35.1	35.6	33.2	34.1	33.8
დენომინირებული ფული და კრედიტი	(პროცენტი, თუ სხვა არაა მითითებული)					
კერძო სექტორზე გაცემული სესხი (წლიური ზრდა)	22.1	19.6	17.6	14.1	17.6	12.6
მუდმივი გაცვლითი კურსით	4.1	11.9	19.4	18.0	16.3	13.1
ფართო ფული (წლიური ზრდა)	19.2	20.4	14.8	12.6	13.6	12.2
ფართო ფული (უცხოურ ვალუტაში)	23.4	19.1	13.7	10.5	12.6	10.8
დეპოზიტების ჩათვლით, წლიური ზრდა)	5.3	13.4	16.5	16.2	12.5	12.8
მუდმივი გაცვლითი კურსით	66.8	69.9	63.7	59.7	62.2	59.6
დეპოზიტების დოლარიზაცია (წილი მთლიანში)	63.1	64.6	56.1	50.7	53.7	51.3
კრედიტის დოლარიზაცია (წილი მთლიანში)	49.2	54.9	57.8	60.6	62.1	64.6
საგარეო სექტორი	(მშპ-ს პროცენტი, თუ სხვა არაა მითითებული)					
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	-12.6	-13.1	-8.8	-9.2	-9.0	-9.5
სავაჭრო ბალანსი	-28.1	-26.9	-25.0	-27.2	-26.2	-27.4
ვაჭრობა (პროცენტული ცვლილება)	30.6	-1.2	-2.7	-1.9	-4.9	-0.9
მთლიანი საერთაშორისო რეზერვი (მილიარდი აშშ დოლარი)	2.5	2.8	3.0	3.3	3.2	3.5
სსფ-ს კომპოზიტიური საზომის მიმართ (საზომი ცვალბადია)	90.0	90.6	89.9	93.3	92.3	95.6
მთლიანი საგარეო ვალი	107.6	109.3	113.2	107.9	108.9	113.3
მთლიანი საგარეო ვალი, კომპანიათაშორის	86.1	91.8	95.9	90.9	91.5	95.0
სესხების გარეშე	2.27	2.37	2.51
დოლარის ღირებულება ლარში (პერიოდის საშუალო)	2.52	2.62	2.83
ევროს ღირებულება ლარში (პერიოდის საშუალო)	104.0	107.5	105.2
რეალური ეფექტიური გაცვლითი კურსი (პერიოდის საშუალო; სამომხმარებლო ფასების ინდექსზე დაყრდნობით, 2010=100)

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და სსფ-ს თანამშრომელთა შეფასებები.

1/ დეტალები იხილეთ აქ: <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2018/06/28/Georgia-2018-Article-IV-Consultation-Second-Review-under-the-Extended-Fund-Facility-46036>

2/ მოდიფიცირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (დეფიციტი პროგრამის განმარტებით) = წმინდა დაკრედიტება/სესხება გამოკლებული ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხი.